შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№16 (9.630)

10–17 მაისი 2014 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

ქართულმა ოცნებამ დედოფლისწყაროს მაჟორიტარობის კანდიდატები წარადგინა

4 მაისს დედოფლისწყაროს კულტურის სახლში კოალიცია „ქართული ოცნების" წინასაარჩევნო შეხვედრა გაიმართა, სადაც ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში „ქართული ოცნების" დედოფლისწყაროს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები დაასახელეს. შეხვედრას პარლამენტის წევრები: ალექსანდრე თამაზაშვილი, ოთარ ჩრდილელი და გელა სამხარაული ესწრებოდნენ.

შეხვედრაზე მოსულ დამსწრე საზოგადოებას გადასცემდნენ ბუკლეტებს სახელწოდებით „პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნება" - ერთად ვიზრუნოთ საქართველოზე". ამ მცირე ალმანახში მეტნაკლებად თავმოყრილია ყველა ის ძირითადი საკითხი, რაც ზემოხსენებულმა პოლიტიკურმა ძალამ თავისი მმართველობის პერიოდში მოასწრო და გააკეთა. კრებული საქართველოს პრემიერის, კოალიცია „ქართული ოცნების" ლიდერის ირაკლი ღარიბაშვილის მიმართვით იწყება: „2012 წელს კოალიცია „ქართულმა ოცნებამ" ბიძინა ივანიშვილის ლიდერობით და მთელი საზოგადოების ერთად დგომით დავიბრუნეთ თავისუფლება, ჩვენ, მრავალი წლის შემდეგ, არჩევნების გზით, შევცვალეთ ხელისუფლება, დავასრულეთ უსამართლობა და ძალადობა. ადამიანი სახელმწიფოსთვის მთავარი ღირებულება გახდა, ჩვენმა კოალიციამ მთავრობაში მოსვლისთანავე დაიწყო ზრუნვა მოქალაქეებისთვის პირველი რიგის პრობლემების მოგვარებაზე.

ისტორიულმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ რეგიონების გარეშე შეუძლებელია ქვეყნის გაძლიერება და თანამედროვე ევროპული ტიპის სახელმწიფოს შექმნა. რეგიონების ეკონომიკური გაძლიერებისა და პოლიტიკურ -კულტურული განვითარებისთვის მივიღეთ თვითმმართველობის ახალი კანონმდებლობა. აირჩიო- ნიშნავს აიღო პასუხისმგებლობა,წლევანდელი თვითმმართველობის არჩევნები უპრეცენდენტოა საქართველოსთვის - ჩვენ პირდაპირი წესით, ვირჩევთ 12 ქალაქის მერს, 59 გამგებელსა და ადგილობრივი საკრებულოების 1000-ზე მეტ მაჟორიტარ დეპუტატს. განხორციელებული ცვლილებების შედეგად, თითოეულ მოქალაქეს მიეცემა საშუალება, თავად იზრუნოს საკუთარი ქალაქის, რაიონისა თუ სოფლის განვითარებაზე.

სნორედ ამ ღირებულებებსა და პრინციპებზე დგას თანამედროვე დასავლური საზოგადოება, რომელსაც ჩვენი გუნდის აქტიური მუშაობის შედეგად სულ უფრო ვუახლოვდებით. ეს არის უმნიშვნელოვანესი ეტაპი ჩვენი ქვეყნისთვის, მისი დემოკრატიული განვითარებისა და ევროპულ ოჯახში დაბრუნებისთვის. ჩვენ ერთად ვიზრუნებთ საქართველოს ევროპულ მომავალზე! ამ არჩევნებს ჩავატარებთ მშვიდ, დემოკრატიულ და თავისუფალ გარემოში. დავარწმუნებთ მსოფლიოს, რომ საქართველოში მიმდინარე დემოკრატიული რეფორმები შეუქცევადია. ერთად ვიზრუნოთ საქართველოზე!"-აღნიშნავს ირაკლი ღარიბაშვილი.

დედოფლისწყაროს კულტურის სახლში გამართულ შეხვედრაზე კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი იმას, რომ სწორედ „ქართული ოცნების" ძალისხმევით დასრულდა ჩვენს ქვეყანაში ერთი ჯგუფის ინტერესებზე მორგებული რეალობა, თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ მოსახლეობა თავისი ქალაქის, სოფლის მართვას თავად შესძლებს.

თვითმმართველობის ახალი კანონით, „ქართული ოცნება" ასრულებს დანაპირებს და ადგილობრივ ხელისუფლებას რეალურად აყენებს ხალხის სამსახურში. ის, რომ მოჩვენებითის ნაცვლად, ქვეყანაში შექმნიდნენ რეალურ დემოკრატიას, ეს პირობა შესრულდა, - უპირველეს ყოვლისა, დღეს, არცერთ მოქალაქეს აღარ ეშინია საკუთარი მოსაზრების თამამად გამოთქმის და განსხვავებული აზრის გამოხატვის.

სასამართლო გათავისუფლდა სახელისუფლებო წნეხისგან, პოლიცია გახდა დეპოლიტიზირებული. ფართომასშტაბიანი ჰუმანური აქტების გამოცემისა და სისხლის სამართლის კოდექსის ლიბერალიზაციის მიუხედავად, ქვეყანაში კრიმინოგენური ვითარება არ გაუარესებულა, გაუმჯობესდა დანაშაულის გახსნის მაჩვენებელი. კანონმორჩილ მოქალაქეებს ხელისუფლების აღარ ეშინიათ. 16 პუნქტით გაუმჯობესდა მედიის თავისუფლების ინდექსი. სრულიად რეფორმირდა სასჯელაღსრულების სისტემა, აღმოიფხვრა წამების და არაადამიანური მოპყრობის პრაქტიკა.

სამხედრო მოსამსახურეების ხელფასი 25% -ით გაიზარდა. დაიძლია სოფლის მეურნეობის, როგორც დარგის, გადარჩენის კრიზისი. 2013 წელს მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტით 710 385-მა ბენეფიციარმა 195 545 543 ლარის ღირებულების სასოფლო სამეურნეო ბარათი მიიღო. 2014 წელს ამ პროექტით სარგებლობს 800 000 ფერმერი. შექმნილია 73 ახალი საწარმო, გადაიარაღდა და გაფართოვდა 418 საწარმო. 2013 წელს წარმატებით ჩატარებულმა რთველმა მევენახეობა-მეღვინეობის დარგის უმნიშვნელოვანესი სტიმულირება მოახდინა. ბოლო რვა წლის განმავლობაში, წელს, პირველად დაიწყო ახალი ვენახების გაშენება, დასავლეთით და აღმოსავლეთით სამ მილიონზე მეტი ნამყენია რეალიზებული. 2013 წელს ღვინის ექსპორტმა 46.7 მლნ. ბოთლი შეადგინა, რაც ორჯერ აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

სულ რაღაც წელიწადნახევრის წინ, საქართველოს მოქალაქეების დიდი ნაწილი ყველაზე მტკივნეულ, მნიშვნელოვან პრობლემებზე ლაპარაკს იწყებდა, რომ ექიმთან მისვლის, თუნდაც, მარტივი სამედიცინო რჩევის მიღების არანაირი საშუალება არ ჰქონდა, დღეს ეს პრობლემა დაძლეულია. ჯანდაცვის ბიუჯეტი 2012 წლიდან გაიზარდა 2.7-ჯერ და გადავიდა საყოველთაო ჯანდაცვის მოდელზე. ხელფასები მოემატათ ექიმებს და ექთნებს. დაგეგმილია 82 ახალი ამბულატორიის აშენება და მთელი ქვეყნის მასშტაბით, სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანებით ავტოპარკის სრულად განახლება.

უამრავი ნიჭიერი ახალგაზრდა უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხის შემდეგ, სწავლას ვერ აგრძელებდა, რადგან ოჯახს სწავლის საფასურის გადახდის საშუალება არ ჰქონდა. ხელისუფლებაში მოსვლიდან წელიწადნახევრის შემდეგ, „ქართულმა ოცნებამ" რეალურად შექმნა ვითარება, როდესაც განათლების მიღების ნებისმიერ მსურველს სახელმწიფო საამისოდ ყველა შესაძლებლობას აძლევს: 2012-2013 სასწავლო წლებში განათლების ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, უფასო გახდა სახელმძღვანელოები, რითაც 500 000-ზე მეტი მოსწავლე სარგებლობს, უმაღლეს სასწავლებელში 17 სპეციალობაზე სწავლა უფასო გახდა, გაორმაგდა სტუდენტური სოციალური გრანტები და სტიპენდიები. სოციალური გრანტები მიიღეს მაგისტრანტებმა, პირველად დაფინანსდნენ დოქტორანტები. 26-60 %-ით გაიზარდა პედაგოგთა ხელფასები, ხოლო 40-45 %-ით სკოლების ადმინისტრაციულ- ტექნიკური პერსონალის ანაზღაურება.

დაგეგმილია რეგიონებში 25 ახალი პროფესიული კოლეჯის შექმნა, 9 ახალი სკოლის აშენება, 600-ზე მეტი სკოლის რეაბილიტაცია და გათბობის სისტემით უზრუნველყოფა. პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, თბილისში დაიგეგმა თანამედროვე ტიპის საერთო საცხოვრებლის აშენება სოციალურად დაუცველი სტუდენტებისთვის.

2013 წლის დასაწყისში, ეკონომიკური ზრდის ტემპის შენელების მიუხედავად, ოქტომბრიდან ტენდენცია შეიცვალა, უარყოფითი სავაჭრო სალდო 9.1%-ით (დაახლოებით 830 მლნ ლარით) შემცირდა. დაფიქსირდა ექსპორტის რეკორდული მაჩვენებელი - 4.8 მლრდ ლარი, მათ შორის ევროკავშირში 1 მლრდ ლარზე მეტი(72.2%-იანი ზრდა) რუსეთის ფედერაციაში 300 მლნ ლარი. მოხდა ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების პარაფირება.

(გაგრძელება გვ. 3)

სამოგავლო გეგმებიც მიმზიდველად გამოიყურება...

გვ. 3

დედოფლისწყაროელები კალიებს ებრძვიან



გვ. 4

პურის სტანდარტი საქართველოში - ქაოსი ბაზარზე

გვ. 4

გმირები კიდევ ერთხელ გაიხსენეს

გვ. 6

C M Y K

ირაკლი ღარიბაშვილი ეკლესიის ჩამონგრევის შედეგად გარდაცვლილთა ოჯახებს უსამძიმრებს

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სახელით აჭარაში, სოფელ ახალსოფელში მშენებარე ეკელსიის ჩამონგრევის შედეგად გარდაცვლილების ოჯახებს მიუსამძიმრა.

როგორც პრემიერ-მინისტრმა მთავრობის სხდომის დაწყებამდე განაცხადა, მას პირველ რიგში სურს მწუხარება გამოთქვას იმ შემზარავ ტრაგედიასთან დაკავშირებით, რომელიც აჭარაში 7 მაისს დატრიალდა.

"ვიცით, რომ ახალსოფელში მშენებარე ეკლესიის გუმბათი ჩამოინგრა, რასაც 2 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. მთავრობის სახელით თანავუგრძნობ და სამძიმარს ვუცხადებთ ოჯახებს და მათ ახლობლებს. ეს არის ძალიან დიდი ტკივილი ჩვენთვის ყველასთვის და დარწმუნებული ვარ, გამოძიება დაადგენს, თუ რამ გამოიწვია გუმბათის ჩამონგრევა, რომელსაც ეს უმძიმესი შედეგი მოჰყვა", - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

პარტიათა რეიტინგების მიხედვით „ქართული ოცნება" ლიდერობს

ხვალ რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ტარდებოდეს, გამოკითხულთა 60% მონაწილეობას მიიღებდა, - ასეთია "ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის" კვლევის შედეგი , რომლის პრეზენტაციაც სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" ჩატარდა.

შესაბამისად, იგივე შეკითხვაზე რესპონდენტთა 40 % აცხადებს, რომ ხვალ რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ტარდებოდეს მონაწილეობას არ მიიღებდა.

რაც შეეხება შეკითხვას, ხვალ რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ტარდებოდეს ვის მისცემდით ხმას, გამოკითხულთა 48% პირველ არჩევანად ასახელებს კოალიცია "ქართულ ოცნებას", 19%-მა არ იცის, 12% ხმას "ნაციონალურ მოძრაობას" მისცემდა, შეკითხვაზე უარს აცხადებს 8%, 4% რეიტინგში "ქდმ"-ს სასარგებლოდაა, ასევე 4% "ლეიბორისტული პარტიის" სასარგებლოდ, არც ერთ პარტიას არ მისცემდა ხმას რესპოდენტთა 3%.

მეორე არჩევანის შემთხვევაში კი შედეგები ასეთია - "ქართული ოცნება"- 4%, "ნაციონალური მოძრაობა"- 3%, ქდმ - 9%, "ლეიბორისტები" -6%, მეორე არჩევანი არა აქვს 37%-ს.

გარდა ამისა, შეკითხვაზე, რომელი პარტია დგას თქვენს შეხედულებასთან ყველაზე ახლოს, ასევე პირველ არჩევანად გამოკითხულთა 42% ირჩევს კოალიცია "ქართულ ოცნებას", 25% -არც ერთს, 12% -"ნაციონალურ მოძრაობას", შეკითხვაზე პასუხი არ იცის 7%-მა, 4% "ქდმ"-ს ანიჭებს უპირატესობას, 4% პასუხზე უარს აცხადებს, ასევე 4% არჩევანს ლეიბორისტული პარტიის სასარგებლოდ აკეთებს, მასთან ახლოს მდგომ პარტიებად კი რესპონდენტთა 2% დანარჩენ პარტიებს ასახელებს.

NDI-ს კვლევის საველე სამუშაოები 26 მარტიდან 18 აპრილის პერიოდში ჩატარდა და მის ფარგლებში 3 942 ადამიანი გამოიკითხა.

სამხედრო ფორმის ტანსაცმლის უკანონოდ ტარება დასჯადი გახდება

საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო ფორმის ტანსაცმლისა და განმასხვავებელი ნიშნების უკანონოდ ტარება ადმინისტრაციული წესით დასჯადი ქმედება იქნება. შესაბამისი ცვლილებები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შედის, რომელიც თავდაცვის სამინისტრომ მოამზადა და განსახილველად პარლამენტს წარუდგინა.

პროექტის თანახმად, „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს" ემატება ახალი მუხლი, რომლის მიხედვითაც, საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო ფორმის ტანსაცმლისა და განმასხვავებელი ნიშნების უკანონოდ ტარება გამოიწვევს პირის დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით, დაკავშირებული იქნება 200-ლარიანი ჯარიმის გადახდასთან (ინტერპრესნიუსი).

ავტომფლობელის პასუხისმგებლობის დაზღვევა სავალდებულო ხდება

100—დან 150—მდე ლარი წელიწადში - ეს ის სავარაუდო თანხაა, რომელსაც ავტომობილის ყველა მფლობელი სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ კანონის ამოქმედების შემდეგ გადაიხდის. ამ ინფორმაცია ვებპორტალი ეუგეორგია. ინფო ავრცელებს.

ავტომფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა ევროპასთან ასოცირების შეთანხმების ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნაა. კანონი 2015 წლიდან უნდა ამოქმედდეს.

ავტომფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის სერვისი საქართველოში ახლაც არსებობს. მაგრამ, ქვეყანაში დარეგისტრირებული 950 000 ავტომფლობელიდან სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევით ამჟამად მხოლოდ 38 674 ავტომანქანის მესაკუთრე სარგებლობს. კანონის ამოქმედების შემდეგ, პასუხისმგებლობის დაზღვევა ყველა ავტომფლობელისთვის სავალდებულო იქნება.

სადაზღვევო ასოციაციის თავმჯდომარე დევი ხეჩინაშვილი ავტომფლობელთა სავალდებული დაზღვევის საკითხზე 3 წელია მუშაობს. ის ამბობს, რომ წინა ხელისუფლების დროს კანონპროექტის გატანა ვერ მოხერხდა, რადგან მთავრობამ ულტრალიბერალური მოსაზრებების გამო სავალდებულო დაზღვევის სისტემის შემოღება გამართლებულად არ მიიჩნია.

გასულ წელს საქართველოში 5 510 ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. ავარიების შედეგად 8 045 ადამიანი დაშავდა, 514 კი გარდაიცვალა.

გელა კვაშილავა ამბობს, რომ საგზაო შემთხვევებით გამოწვეული სიკვდილიანობის სტატისტიკა სრულყოფილი არ არის: „მსოფლიოში მიღებული წესის თანახმად, თუ ადამიანი საგზაო შემთხვევიდან 30 დღის განმავლობაში იღუპება, მაშინ ითვლება, რომ გარდაცვალების მიზეზი საგზაო შემთხვევა იყო. საქართველოში გარდაცვლილთა აღრიცხვა ასეთი წესით არ ხდება. შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ ავტოავარიის შედეგად დაღუპულთა რიცხვი გაცილებით მაღალი უნდა იყოს. მაღალია დაშავებულთა რიცხვიც. მსოფლიო ბანკის ინფორმაციით, ჯანდაცვის ბიუჯეტის 30% საგზაო შემთხვევებით გამოწვეული ტრავმების მკურნალობაზე იხარჯება. ავარიების შედეგად მიყენებული ზარალის ოდენობა კი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 2-3%-ს უტოლდება.

„ავტომფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევას შეუძლია გარდამტეხი როლი ითამაშოს ავტოავარიების შედეგად ადამიანებისთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების და საგზაო უსაფრთხოების გაუმჯობესების საქმეში,"— ამბობს ორგანიზაცია „პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოებისთვის" გამგეობის თავმჯდომარე გელა კვაშილავა.

შსს—ს ინფორმაციით, საქართველოში ავტომანქანების რაოდენობა ყოველწლიურად ათი პროცენტით იზრდება. ავტომობილების რაოდენობის ზრდის გამო ავტოავარიების რიცხვიც მატულობს. ხშირია შემთხვევები, რომ ავტომობილის მართვის დროს მძღოლი სხვა მანქანას, ან ფეხით მოსიარულეს ეჯახება და სხვის ქონებას აზიანებს.

„ასეთ დროს მძღოლს ორმაგი ხარჯის გაღება უწევს: უნდა შეაკეთოს საკუთარი ავტომობილი, რაც თავისთავად დიდ ხარჯთან არის დაკავშირებული და გადაიხადოს მის მიერ დაზიანებული ავტომობილის შეკეთების თანხაც. შეიძლება საკუთარი ავტომობილის შეკეთება ადამიანმა ცოტა ხნით გადადოს, მაგრამ იმ მანქანის შეკეთება, რომელიც მან დააზიანა, ყველა შემთხვევაში დამზარალებლის ვალდებულებაა", — ამბობს „ჯი პი აი ჰოლდინგის" საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი თინა სტამბოლიშვილი, —„თუ საქმე ადამიანის ჯანმრთელობას ეხება, მაგალითად დაშავდა ფეხით მოსიარულე, ან ავტომობილის მგზავრი, სიტუაცია კიდევ უფრო რთულდება. ასეთ დროს თუ მძღოლს სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა აქვს, მაშინ დაზარალებულ მხარეს მიყენებულ ზიანს მთლიანად სადაზღვევო კომპანია უნაზღაურებს. ავტოსაგზაო შემთხვევის ადგილზე გადის სადაზღვევო კომპანიის მობილური ჯგუფი და ავარიით გამოწვეულ ყველა პრობლემას (იქნება ეს საბუთების მოწესრიგება, სხვისი მანქანის შეკეთება თუ დაშავებული მგზავრების სტაციონარში გადაყვანა) ის აგვარებს. ასეთი ტიპის დაზღვევა ყველა განვითარებულ ქვეყანაში სავალდებულოა. ავტომფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა ყველაზე კარგი გამოსავალია დაზარალებული მხარისთვის, ავტომფლობელისთვის, ვისი მიზეზითაც ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა და სახელმწიფოსთვის. სადაზღვევო კომპანიები სრულად უზრუნველყოფენ ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგად წარმოქმნილი ასეთი ტიპის ზარალების ანაზღაურებას და ტრავმებით გამოწვეული დაავადებების მკურნალობაზე სახელმწიფოც ნაკლებ ფულს ხარჯავს".

ავტომფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის პოლისის მაქსიმალურ ფასს პარლამენტი განსაზღვრავს. ასანაზღაურებელი ზარალის ოდენობას და მომსახურების სერვისებს სადაზღვევო კომპანიები ინდივიდუალურად განსაზღვრავენ. ავტომფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის შესაძენად ავტომობილის დაზღვევის ყიდვა აუცილებელი არ იქნება.

კახა კალაძე - დავამტკიცებთ, რომ „ქართული ოცნება" ქვეყნის კეთილდღეობაზე მზრუნველი ერთადერთი ძალაა

ჩვენ ყველა დაწყებულ საქმეს ბოლომდე მივიყვანთ და ფეხზე დავაყენებთ თბილისსა და მთელ საქართველოს, - ამის შესახებ კოალიცია "ქართული ოცნების" თბილისის მაჟორიტარობის კანდიდატების წარდგენის დროს კოალიციის ერთ-ერთმა ლიდერმა კახა კალაძემ განაცხადა.

მისი თქმით, "ქართული ოცნება" დაამტკიცებს, რომ ქვეყნის კეთილდღეობაზე მზრუნველი ერთადერთი ძალაა.

"ქართული ოცნება" მოუვლის და დაუბრუნებს ძველებურ ხიბლს თბილისს. თქვენ უნდა ვაჩვენოთ მთელ საქართველოს, რომ "ქართულ ოცნებას" ენდობა ხალხი, ჩვენ დაწყებულ საქმეს ბოლომდე მივიყვანთ და ფეხზე დავაყენებთ თბილისს. თქვენ ხართ მშრომელი ხალხი და თბილისის კეთილდღეობისთვის ყველაფერს გააკეთებთ დავით ნარმანიასთან ერთად. ჩვენ დავამტკიცებთ, რომ "ქართული ოცნება" ქვეყნის კეთილდღეობაზე მზრუნველი ერთადერთი ძალაა. ჩვენ ერთად ვიზრუნებთ თბილისზე და საქართველოზე", - განაცხადა კახა კალაძემ.

ე.წ. „მუხროვანის ამბოხების" საქმეზე პროკურატურამ ლევან ტაბიძე დააკავა

პროკურატურის ინფორმაციით, გახსნილია 2009 წლის 20 მაისს, ე.წ. „მუხროვანის ამბოხისთვის" ძებნილი პირების კობა ოთანაძის, ლევან ამირიძისა და გია კრიალაშვილის ძებნის სპეცოპერაციის დანაშაულებრივი გარემოებები. პროკურატურამ, წამების და თავისუფლების უკანონო აღკვეთის ბრალდებით, შს სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დირექტორის ყოფილი მოადგილე ლევან ტაბიძე დააკავა.

„გამოძიებით დადგინდა, რომ შს სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილემ ლევან ტაბიძემ, ე.წ. „მუხროვანის ამბოხისთვის" ძებნილი პირების - ლევან ამირიძის, კობა ოთანაძისა და გია კრიალაშვილის ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაციის მოპოვების მიზნით, დაგეგმა და განახორციელა კობა ოთანაძის ნათესავებისთვის თავისუფლების უკანონო აღკვეთა და მათი წამება.

ამ მიზნით, 2009 წლის 20 მაისს, ღამის საათებში, ლევან ტაბიძე და მისი თანხმლები პირები შეიჭრნენ კობა ოთანაძის ნათესავის მურად ზარიძის საცხოვრებელ სახლში, რა დროსაც იქ იმყოფებოდნენ მურად ზარიძის მეუღლე ნათია თვაური, მცირეწლოვანი-ერთი წლის შვილი, მშობლები და დები. ოჯახში შესვლის შემდეგ ლევან ტაბიძემ გამოძიებით ამ ეტაპზე დაუდგენელ ნიღბიან პირებთან ერთად დაიწყო სახლში მყოფი მურად ზარიძის და მისი ოჯახის წევრების უმოწყალო ცემა. კერძოდ, ლევან ტაბიძე მივიდა საწოლში მყოფ მურად ზარიძის მეუღლესთან ნათია თვაურთან, რომელსაც სახეში რამდენჯერმე გაარტყა ხელი, ხოლო შემდეგ გადაინაცვლა დასთან ნათია ზარიძესთან, რომელიც გადმოაგდო საწოლიდან და ძირს დაგდებულს დაუწყო უმოწყალოდ ცემა, რის შემდეგაც გადაინაცვლა სამზარეულო ოთახში, სადაც ამ ყველაფრის შემსწრე მურად ზარიძის დედას რუსიკო ივანიძეს, რომელიც ხმამაღლა ითხოვდა შველას, თავის არეში ძლიერად დაარტყა მუშტი, დააგდო ძირს და კვლავ განაგრძო მისი ცემა, რა დროსაც ლევან ტაბიძე მურად ზარიძის ოჯახის წევრებისგან დაჟინებით მოითხოვდა ძებნილ კობა ოთანაძის ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაციას.

იმის გამო, რომ ლევან ტაბიძემ და მისმა თანხმლებმა პირებმა ძებნილი კობა ოთანაძის ადგილსამყოფელის დადგენის კუთხით სასურველ შედეგს ვერ მიაღწიეს, მურად ზარიძეს და მისი ოჯახის ყველა წევრს, მათ შორის მცირეწლოვან ბავშვს უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება და ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე გადაიყვანეს ე.წ. „მოდულის" შენობაში.

მოდულის შენობაში, მურად ზარიძე და მისი ოჯახის წევრები რიგრიგობით შეჰყავდათ ლევან ტაბიძის სამუშაო კაბინეტში, სადაც გრძელდებოდა მათთვის ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება, მათ შორის ფიზიკური ანგარიშსწორება და მუქარა ხორციელდებოდა მურად ზარიძის მცირეწლოვან - 1 წლის ბავშვის მისამართით, რის შემდეგაც ნათია ზარიძემ ვერ გაუძლო მასზე განხორციელებულ ძალადობას და მიაწოდა მათ მის ხელთ არსებული სრული ინფორმაცია კობა ოთანაძის ადგილსამყოფელის თაობაზე.

წამებით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, 2009 წლის 20 მაისს, ქალაქ თბილისში, თიანეთის გზატკეცილზე ჩატარდა სპეცოპერაცია, რა დროსაც გია კრიალაშვილი ადგილზე იქნა ლიკვიდირებული, ხოლო კობა ოთანაძე და ლევან ამირიძე კი მძიმედ დაიჭრნენ.

ლევან ტაბიძეს, ზარიძეების ოჯახის წევრების მიმართ გამოჩენილი სისასტიკის და ამ გზით ძებნილი პირების ადგილსამყოფელის შესახებ მიღებული ინფორმაციის მოპოვებისათვის, საქართველოს შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის ივანე მერაბიშვილის ბრძანებით გადაეცა ფულადი პრემია 10 000 ლარის ოდენობით, ხოლო საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განკარგულებით მიენიჭა ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენი.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1441-ე მუხლის მე-2 ნაწილით და 143-ე მუხლის მე-3 ნაწილით, რაც სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 9 დან 15 წლამდე ვადით.

ამავდროულად, საზოგადოებას შევახსენებთ, რომ მთავარი პროკურატურა აქტიურად აგრძელებს გამოძიებას საქართველოს შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის ივანე მერაბიშვილისა და სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ყოფილი დირექტორის ერეკლე კოდუას ხელმძღვანელობით ჩატარებული ე.წ. „მუხროვანის ამბოხებისთვის" ძებნილი პირების კობა ოთანაძის, ლევან ამირიძისა და გია კრიალაშვილის დაკვების სპეცოპერაციის დანაშაულებრივი გარემოებების დასადგენად", — აღნიშნულია პროკურატურის განცხადებაში.

სამომავლო გეგმებიც მიმზიდველად გამოიყურება...

საუკეთესო მასპინძლობა გაგვიწია ჟურნალისტებს სოფელ ოზაანის საკრებულოს სპეციალისტმა მარინე ოზაშვილმა. როგორც მან აღნიშნა, მათი სოფლისთვის, როგორც მთელი ქვეყნისთვის, გასული წელი გარკვეული გამოწვევების წელი გახლდათ, თუმცა, სოფელში რამდენიმე წარმატებული პროექტის განხორციელება მაინც მოესწრო. ყველაზე მნიშვნელოვან პროექტად კი მან საბავშვო ბაგა-ბაღის პირველი სართულის თანამედროვე სტანდარტებით აღდგენა-რეაბილიტაცია დაასახელა.

-„მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მთავრობის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მმართველობის გადმობარების და ახალი კადრების დაკომპლექტების თავდაპირველი ეტაპი რამდენიმე თვე გაგრძელდა და იყო სირთულეებიც, ისე როგორც მთლიანად ქვეყანაში, ჩვენს სოფელშიც ბევრი რამ გაკეთდა, უამრავი გეგმაა მომავალში დასახული და, რაც ყველაზე მთავარია, სამომავლო გეგმებიც არანაკლებ მიმზიდველად გამოიყურება. პირველ რიგში, სოფლის დახმარების პროგრამით, მოსახლეობამ არჩევანი გააკეთა ბაგა-ბაღის რეაბილიტაციაზე და მართლაც, ბაღს ევრორემონტი ჩაუტარდა, სადაც სველი წერტილები, ცხელი და ცივი წყალი, გათბობა და ტუალეტი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისობაშია მოყვანილი. ამ გარემოებამ და ბაღებში გაუმჯობესებულმა კვების რაციონმა, ასევე გადასახადის გაუქმებამ, საგრძნობლად გაზარდა ბაღის კონტიგენტი. ბაღში, სადაც წლები 20-25 ბავშვს ითვლიდნენ, ახლა მათი რიცხვი თითქმის გაორმაგდა, მოიმატა შობადობამაც. მეორე მნიშვნელოვანი პროექტი, რაც სოფელმა თავად აირჩია, ეს დედაღვთისმშობლის ეკლესიის გაკეთება გახლდათ. გასულ წელს, სოფლის დახმარების პროგრამით ტაძარს გაუკეთდა მესერი. გარდა ამისა, სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამით, ერთიდან ხუთ ჰექტრამდე მიწის ნაკვეთების მფლობელ მოსახლეზე, (ასეთთა რიცხვი კი, დაახლოებით, მაცხოვრებელთა 97% გახლდათ) დარიგდა აგრობარათები. ამან საგრძნობლად შეუწყო ხელი მიწის მფლობელებს, რათა უსახსრობის გამო წლების დაუმუშავებელი მიწა მოეხნათ და მოსავალი მიეღოთ. გაკეთდა ამაღლების გზა, სადაც მოხრეშვითი სამუშაოები ჩატარდა და წელსაც იგეგმება ამაღლების გზის მოხრეშვა. სკოლის უბნისკენ მიმავალ გზაზე, ქუჩის ბოლომდე, მთლიანად მოეწყო ელექტროგანათება. წლის განმავლობაში სოფელში რამდენჯერმე მოეწყო შაბათობა, მოსამსახურეებმა გავწმინდეთ "ობელისკი" და სიამოვნებით მივიღეთ მონაწილეობა გამწვანების აქციაში. ნერგები დავრგეთ სტადიონზე, სოფელ თავწყაროს და ჩვენი საბავშვო ბაღის ტერიტორიებზე. სულ ახლახანს მიწის ნაკვეთების მფლობელ მოსახლეობას, რომელსაც დათესილი აქვთ მარცვლეული, უფასოდ დავურიგეთ ყანებში გაჩენილი "ბუგრის" საწინააღმდეგო შხამქიმიკატი „ალპაკი". გარდა ამისა, ზამთრის პერიოდში 10-მდე ოჯახმა მიიღო ხელმძღვანელობის მხრიდან შეშით უზრუნველყოფის

დახმარება, ვფიქრობ, ჩემს მიერ ჩამოთვლილი გაკეთებული საქმეების ნუსხა დადებით ზეგავლენას ახდენს მოსახლეობის კეთილდღეობაზე და ამას ისინი თავადვე გრძნობენ. ვიცი და მესმის, რომ ეს არაა საკმარისი სოფლის გამოცოცხლებისთვის, თუმცა, სახელმწიფოს აქვს უამრავი სასიკეთო გეგმა, იმისთვის, რომ საბოლოო ჯამში, მივიღოთ ისეთი სოფელი, სადაც ცხოვრება ძველებურად საინტერესო და მჩქეფარე გახდება, საიდანაც ერთი მოსახლეც აღარ ისურვებს წასვლას და საცხოვრებელი ადგილის შეცვლას. მე ძალიან დიდი იმედი მაქვს მოსახლეობის კეთილგონიერების და იმის, რომ სჯეროდეთ ახალი ხელისუფლების"-აღნიშნავს მარინე ოზაშვილი.

სოფელ თავწყაროდან დაბრუნებული გამგებლის რწმუნებული სოფელ ოზაანში გელა ოზაშვილი კი გაზეთ „შირაქთან" სამომავლო გეგმებზე საუბრობს, -„-წელს სოფლის საბავშვო ბაგა-ბაღის ეზოში საქანელების და სხვადასხვა "ატრაქციონების" დამონტაჟება გვაქვს დაგეგმილი, რაც ძალიან გაახარებს ჩვენი პატარების და მათი მშობლების გულს. ამასთან ერთად, წელს ჩასმულია ბაღის მეორე სართულის მთლიანი რეაბილიტაცია. ასევე, უნდა მოიხრეშოს ყველა საუბნო გზა და ასფალტის საფარით დაიფაროს მთლიანად სკოლამდე და ეკლესიამდე მისასვლელი გზები. ჩვენი ადმინისტრაციული შენობის მოწესრიგების და უკეთესი პირობების შექმნისთვის კი დაგეგმილია შენობისთვის კარ-ფანჯრების შეცვლა. რაც შეეხება სოფელ თავწყაროს, რომელიც წლების მანძილზე უყურადღებოდ იყო მიტოვებული და იქ ფაქტიურად ელემენტარული პირობების არქონის გამო, მკვეთრი მიგრაცია შეინიშნებოდა, წელს ამ სოფელში დაგეგმილი გვაქვს მინი-სტადიონის გაკეთება. მოსახლეობის მოთხოვნა იყო, რომ მათთან კვირაში ან ორ კვირაში ერთხელ ექიმი მისულიყო, მაგრამ ამისათვის საჭირო ოთახიც არ არსებობდა. ამ პრობლემის აღმოფხვრის მიზნით დაიგეგმა სოფლის თავში საექიმო ოთახის გაკეთება. გასულ წელს აქ ყველა ოჯახის სახლში შევიდა წყალი. თავწყაროს რკინიგზის გადასასვლელზე კი, რომელიც ძალიან იყო დაზიანებული და მანქანებს უჭირდათ გადასვლა, ჩაისხა ცემენტი და მოპირკეთდა ახლიდან. "-ამბობს ჩვენთან საუბარში გამგებლის რწმუნებული სოფელ ოზაანში გელა ოზაშვილი.

ძირითადი პრობლემა კი, რისთვისაც მოსახლეობა საკრებულოს ხშირად აკითხავს, როგორც საკრებულოს თანამშრომლები განმარტავენ, უმუშევრობა და მძიმე სოციალური პირობებია. წელს სოფლის ათამდე ოჯახს ზამთარში სათბობი საშუალებით დაეხმარნენ, ეს ძირითადად მარჩენალდაკარგულებს და ინვალიდებს შეეხო, თუმცა, სოციალური დახმარების მიღებაზე არც შრომისუნარიანები და პენსიონერები აცხადებენ უარს. როგორც შევიტყეთ, ამ კუთხით ოზაანის საკრებულოში მიმართვიანობა საკმაოდ მაღალი ყოფილა. როგორც საკრებულოში განმარტავენ, სოფლის საკრებულო უძლურია ჩაერიოს სოციალური სააგენტოს მუშაობის პრინციპში, რადგან ის ცალკე სტრუქტურაა და შესაბამის სამინისტროს ექვემდებარება.

კულტურის სახლის უქონლობის გამო სოფლის საკრებულოს შენობაშია განთავსებული კულტრის სახლის ერთი ოთახი, სადაც ფოლკლორისტი მანანა ჯაფოშვილი მუშაობს. ის სოფლის ახალგაზრდობას და ყველა დაინტერესებულ მოსწავლეს უშურველად აზიარებს ქართულ ფოლკლორს და ბავშვებს ფანდურზე და სალამურზე დაკვრას ასწავლის. ეს კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია სოფლის კულტურული გამოცოცხლების თვალსაზრისით. ერთადერთი პრობლემა, რაც პედაგოგს ხარისხიან მუშაობაში ხელს უშლის, ინსტრუმენტების ნაკლებობაა.

სოფელ ოზაანის მოსახლეობასთან გასაუბრების და მათი აზრის გამოხატვის მცდელობა არ შედგა, რადგან ოზაანის მოსახლეობის თავისებურებებს უკვე კარგად ვიცნობ, მიუხედავად იმისა, რომ პირად საუბარში სიტყვაწყლიანები არიან, თავის პრობლემებს ხელის გულზე გადაგიშლიან და დარდსაც გულზე შემოგახვევენ, რატომღაც საგაზეთო მასალისთვის საკუთარი აზრის გამოხატვას ვერავინ ბედავს და სურთ, რომ მათი სათქმელი გაზეთის ფურცლებზე ისე ითქვას, რომ თავად არ გამოჩნდნენ, რაც ჩემთვის სრულიად მიუღებელია. ისინი მუდმივად პირში წყლის ჩაგუბებას და თევზივით დუმილს არჩევენ, სათქმელი კი სურთ, რომ სხვამ თქვას. არაფრით მესმის, ვის უნდა მიანდო ის საჭე, რასაც შენი სოფლის კეთილდღეობა ჰქვია, თუ სიტყვაც არ წარმოთქვი, თუმცა, ერთიცაა, უფლება, თუნდაც დუმილის, მათია და ვერავინ ნაართმევს, ვინ იცის, ამ დროს რომელი ძალა მოქმედებს მათზე, მე კი, ჩემის მხრიდან, ძალიან მინდა მჯეროდეს, რომ ჩემი ხალხის დუმილში დიდი სიბრძნე და გონიერება ისადგურებს, სიბრძნე, რომელსაც კეთილი დასასრული ელოდება.

ლალი მეხრიშვილი

ქართულმა ოცნებამ დედოფლისწყაროს მაჟორიტარობის კანდიდატები წარადგინა

(პირველი გვერდიდან)

2013 წელს საქართველოს 5 მილიონზე მეტი საერთაშორისო მოგზაური ეწვია, რაც 21 %-ით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს. გამრიცხველიანდა 76 331 და გაზიფიცირდა 57 733 აბონენტი, განხორციელდა 11 უშუქო სოფლის ელექტროფიცირება, პირველად საქართველოში, დაიწყო ქარის ელექტროსადგურის საპილოტე პროექტის განხორციელება. გარდაბანში დაიწყო 230 მგვტ სიმძლავრის თბოსადგურის მშენებლობა. ენერგეტიკის დარგში უცხოურმა ინვესტიციებმა 2012 წელთან შედარებით 10%-ით მოიმატა და 200 მილიონ ლარს მიაღწია. დაგეგმილია უამრავი სარკინიგზო და საავტომობილო გზების გაყვანა, წყალმომარაგების გაუმჯობესება, ბიზნესისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, მცირე და ახალი ჰესების შექმნა და სამუშაო ადგილების დამატება.

და ბოლოს, ჩვენს რაიონში კოალიცია „ქართული ოცნების" მთავრობაში მოსვლის დღიდან, დაიგო უამრავი გზა, გამაგრდა მდინარე ალაზნის ჯებირები, სადაც ტერიტორიების დაკარგვის საფრთხე გველოდა, თანამედროვე სტანდარტებით გარემონტდა და განახლდა რაიონის თითქმის ყველა საბავშვო ბაღი, გაუქმდა ბაღის გადასახადი და მკვეთრად გაუმჯობესდა ბავშვების კვება. საბავშვო ბაღის თანამშრომლებს მაისიდან 30 %-ით მოემატათ ხელფასები. უამრავმა ოჯახმა ისარგებლა აგრობარათით და წლების დაუმუშავებელი მიწები მოიხნა, მიღებულმა მოსავალმა კი მკვეთრად გააუმჯობესა ყოველი მეორე ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა. წლევანდელი ყურძნის მოსავლის მაღალ ფასში ჩაბარებამ მევენახეთა პირობები მკვეთრად გააუმჯობესა.

ბოლო წელიწადნახევრის მანძილზე, ქვეყანაში გაკეთებული უამრავი საქმეების და განხორციელებული პროექტების ამ მცირე ჩამონათვალის მიმოხილვის შემდეგ, „ქართული ოცნების" მიერ წარდგენილ კანდიდატებსაც გაგაცნობთ.

შეხვედრაზე ნათელი მოეფინა იმას, თუ ვინ რომელი სოფლის მაჟორიტარობისთვის იბრძოლებს ამ არჩევნებში. თვითმმართველობის არჩევნებში დედოფლისწყაროს გამგებლის პოსტის დასაკავებლადმოქმედი გამგებელი **ნიკოლოზ ჯანიაშვილი** იბრძოლებს, ქალაქ დედოფლისწყაროს მაჟორიტარი დეპუტატის მანდატისთვის - დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი **მიხეილ ბახუტაშვილი**, სოფელ ხორნაბუჯის- „წყალმომარაგების კომპანიის" დედოფლისწყაროს სერვისცენტრის უფროსი **გია გოგილაშვილი**, სოფელ ზემო მაჩხაანსა და მირზაანში - შპს „მექანიზატორის" დედოფლისწყაროს სერვისცენტრის უფროსი **ალექსანდრე ბენაშვილი,** სოფელ ზემო ქედში - გამგებლის მოადგილე **ნიკოლოზ ხუციშვილი**, გამგებლის კიდევ ერთი მოადგილე **გივი გიგაური** კი-სოფელ გამარჯვების მაჟორიტარი დეპუტატის მანდატის მოსაპოვებლად. სოფელ სამრეკლოში კენჭს საჯარო რეესტრის თანამშრომელი **გოჩა სამუკაშვილი** იყრის, სოფელ ქვემო ქედში ტერიტორიული ორგანოს სპეციალისტი **დავით ხუმარაშვილი,** სოფელ ოზაანში სოფლის ექსრწმუნებული **ზაზა მეხრიშვილი,** სოფელ არხილოსკალოში **გოჩა ანთაური**, სოფელ არბოშიკში **არსენ ბაღაშვილი,** სოფელ სამთაწყაროში - **მერაბ ცეცხლაძე**, ხოლო სოფელ საბათლოში **-ვასილ ჩოუშიანი.** უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილ კანდიდატებს შორის არცერთი ქალი კანდიდატი არ დასახელებულა. მიუხედავად ამისა, წარდგენილი კანდიდატები ნამდვილად მისაღებნი არიან საზოგადოებისთვის და ვფიქრობთ, გამარჯვების შემთხვევაში ღირსეულად დაიცავენ თავისი ქვეყნის და ხალხის ინტერესებს.

ლალი მეხრიშვილი

დედოფლისწყაროელები კალიებს ებრძვიან

დედოფლისწყაროს იტალიური და მაროკოული კალია შეესია, მწერი სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთების გარდა ქალაქის დასახლებულ პუნქტებშიც შეინიშნება. სურსათის ეროვნული სააგენტოში განმარტავენ, რომ ამ ეტაპზე დედოფლისწყაროსა და სიღნაღის მუნიციპალიტეტებში კალიების გავრცელების სუსტი კერები შეინიშნება და იტალიური კალიის მასობრივი გამოჩენა მოსალოდნელი იყო.

სპეციალისტების მიერ ჩატარებულმა მონიტორინგმა აჩვენა, რომ სიღნაღის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე — კერძოდ ალაზნის ველზე გამოვლინდა იტალიური კალიის ძლიერი, 98% სიცოცხლისუნარიანი კვერცხების კერა. მათივე ცნობით, ამ ადგილებში უკვე შეინიშნება ასევე მავნებლის გამოჩეკვის ერთეული შემთხვევა, რაც სპეციალისტების განმარტებით, მავნებლის მასობრივ გამოჩენას მოასწავებს.

იტალიური კალია გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოს სამ რეგიონში. იტალიური კალია განსაკუთრებით საშიში მავნებელია, რომლიც ანადგურებს სასოფლო-სამეურნეო კულტურებს.

კახეთში, ქვემო ქართლსა და შიდა ქართლში სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მავნებლის გავრცელების ადგილების ქიმიური დამუშავება 26 000 ჰა ფართობზე. საგენტოს ინფორმაციით, შექმნილია ასევე მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის შტაბი, რომელიც ორგანიზებას გაუწევს დაგეგმილი სამუშაოების შესრულებას.

მავნებელი მწერი ამჯერად დასახლებულ პუნქტებში დაფიქსირდა. ადგილობრივი მოსახლეობა იმ ფაქტზე წუხს, რომ დიდი რაოდენობით მწერი ქალაქ დედოფლისწყაროში და მის მიმდებარე სოფლებში საცხოვრებელი სახლების კედლებსა და ჭერზე მერამდენე დღეა შეინიშნება.

დედოფლისწყაროს მაცხოვრებლები გაზეთ „შირაქთან“ საუბარში აცხადებენ, რომ მწერის შემოსევას საკუთარი ძალებით ვერ უმკლავდებიან და შესაბამისი სამსახურებისგან დახმარებას ითხოვენ.

„85 წლის კაცი ვარ, მთელი ჩემი ცხოვრება მინდორში ვმუშაობდი, მაგრამ დასახლებულ პუნქტებზე ამ ოდენობის მწერის შემოსევა არ მახსოვს. ყანებში კალია ხშირად ფიქსირდება, მაგრამ ქალაქში, საცხოვრებელ სახლებში მსგავსი არაფერი მინახავს. ძალიან შევწუხდით, კარი და ფანჯარა ვერ გაუხსნია ხალხს, მერამდენე დღეა კედლები გადავსებულია და გარეთ გამოსვლას, ან ბავშვების გამოყვანას ვერიდებით, კარგი იქნება თუ ხელისუფლება დაგვეხმარება, რომ რაღაც ღონისძიებები გატარდეს,“ - აცხადებს დედოფლისწყაროს მკვიდრი ლესტამბერ შარმაზანაშვილი.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს დედოფლისწყაროს საკონსულტაციო სამსახურში აცხადებენ, რომ სახელმწიფო პროგრამით მხოლოდ დედოფლისწყაროს სასოფლო სამეურნეო სავარგულების წამლობა ფინანსდება, თუმცა ქალაქის ტერიტორიაზე მოსახლეობას მწერთან ბრძოლა დამოუკიდებლად, საკუთარი ძალებით მოუწევს.



„დედოფლისწყაროში წელსაც დაფიქსირდა იტალიური და მაროკოული კალიის კერები, ამას თითქმის ყოველწლიური ხასიათი აქვს. უკვე იმყოფება მონიტორინგის ჯგუფები. ამ დროისთვის კალია დაფიქსირდა მილარის, ენამთის და დილიჩის ტერიტორიებზე. უახლოეს დღეებში კიდევ იგეგმება სპეციალისტების გასვლითი შემოწმება, დაფიქსირდება დაავადებული კერები და რამდენიმე დღეში დაიწყება წამლობის პროცესი. შესაძლოა, ივრის ტერიტორიაზე და ტარიბანაშიც დაფიქსირდეს მავნებელი მწერი. რაც შეეხება მწერის დასახლებულ პუნქტებში და ქალაქის ტერიტორიაზე გამოჩენას, ჩვენ ასეთ ინფორმაციას არ ვფლობთ, თუმცა, მოსახლეობა გამოთქვამს პრეტენზიებს. მაგრამ ეს სულ სხვა მწერია. მოგეხსენებათ, ქალაქი დედოფლისწყარო და მისი მიმდებარე სოფლები შედარებით მაღალ ტერიტორიაზე მდებარეობს და აქ კალიების არსებობა გამორიცხულია. სახელმწიფო პროგრამით მხოლოდ ამ კალიებთან ბრძოლა ფინანსდება, სასოფლო სამეურნეო სავარგულების დამუშავების კუთხით. სამწუხაროდ, ალბათ, მოსახლეობა საკუთარი ძალებით უნდა ებრძოლოს ქალაქის ტერიტორიაზე გამოჩენილ მწერს,“ - აღნიშნავს დედოფლისწყაროს საკონსულტაციო სამსახურის მთავარი სპეციალისტი იაგო ყოჩიაშვილი.

ილია მარტყოფლიშვილი

პურის სტანდარტი საქართველოში - ქაოსი ბაზარზე

საქართველოს ბაზარზე სარეალიზაციოდ გამოტანილ პურთან დაკავშირებით კრიტიკა უკვე წლებია, ისმის. ზოგი წონას უჩივის, ზოგი კი იმას, რომ პური მალე ფუჭდება, ზოგი უცნაური გემოსია, ხშირად პური ფუნთუშას უფრო ჰგავს, ვიდრე პურს, ამასთან, მალე შრება და თანაც ნამცეცებად იფხვნება.

სტანდარტიზაციის სააგენტოში

აცხადებენ, რომ პურის ცხობისას ყველა საწარმომ სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტით უნდა იხელმძღვანელოს. სპეციალისტები კი ამბობენ, რომ გასაყიდად გამოტანილი პურის დაახლოებით 30-40% უხარისხოა და არანაირ სტანდარტს არ შეესაბამება.

ბაზარზე მრავალი სახეობის პური იყიდება. მიუხედავად სიმრავლისა, მისი ამორჩევა დღემდე პრობლემაა. როგორც სპეციალისტები აცხადებენ, საქართველოში, განსაკუთრებით ზაფხულში, ხშირია შემთხვევები, როდესაც ბაზარზე ჯანმრთელობისთვის მავნე პური იყიდება.

გარდა დაავადებისა, პრობლემაა პურის წონა. მომხმარებლები ამბობენ, რომ ხშირად პური ვიზუალურად დიდია, თუმცა რეალურად მისი წონა ბევრად ნაკლებია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. გარდა ამისა, პური ნამცეცებად იფხვნება და ხშირად მეორე დღისით საკვებად მისი მიღება შეუძლებელია.

მოსახლეობის პრეტენზიებს იზიარებს ექსპერტი სასურსათო საკითხებში ეთერ სარჯველაძე. მისი თქმით, ბაზარზე სარეალიზაციოდ გამოტანილი პურის დიდი ნაწილი შესაბამის სტანდარტს არ შეესაბამება.

“პურის ხარისხზე როცა ვსაბურობთ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი ცხობის პროცესი. ადრე არსებობდა პურის ცხობის ტექნიკური რეგლამენტი. ეს იყო სახელმწიფოს მიერ დაწესებული, დღეს კი ეს სტანდარტი უკვე აღარ არსებობს.

ბაზარზე რომ უხარისხო პური იყიდება, ეს გამომდინარეობს არა მარტო ცხობის პროცესიდან, არამედ ნედლეულისგან, საფუარისგან, თუ როგორ ხდება მისი გაციება და ა.შ. ვფიქრობ, აუცილებელია დაიწყოს შემოწმება, თუ როგორ პირობებში აცხობენ ამა თუ იმ საწარმოში პურს”, - განაცხადა სარჯველაძემ.

რაც შეეხება ბაზარზე სარეალიზაციოდ გამოტანილ უხარისხო პროდუქციის რაოდენობას, სარჯველაძე ამბობს, რომ კონკრეტული ციფრის დასახელება ძალიან რთულია. შეიძლება ითქვას, რომ დაახლოებით პურის 30-40% სტანდარტს არ შეესაბამება.

საქართველოში პურის სტანდარტი არსებობს, თუმცა მისი ცხობა კონკრეტული მეწარმის კომერციული “საიდუმლოა” და მასში სახელმწიფო ვერ ჩაერევა.

საქართველოს სტანდარტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს სტანდარტების სამსახურის ხელმძღვანელი ავთანდილ ჭიჭინაძე ამბობს, რომ პურის სტანდარტს “პროდუქციის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი” არეგულირებს. შესაბამისად, არსებობს სახელმწიფო სტანდარტი - “პური ხორბლის ფქვილისა”, რომლითაც მეწარმემ უნდა იხელმძღვანელოს და საწარმოოს მიერ დაწესებული სტანდარტიც აუცილებლად მასთან შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს.

“საქართველოში სტანდარტიზაცია არის ნებაყოფლობითი, ანუ მეწარმეს შეუძლია აირჩიოს რომელიმე მათგანი და ისე აწარმოოს პური. მან შეიძლება გამოიყენოს რეგიონული სტანდარტი, შეიძლება გამოიყენოს ევროპული ან შიდა სტანდარტი შექმნას, მაგრამ ეს ყველაფერი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დაწესებულ სტანდარტს. რამდენად ირღვევა მოთხოვნები, ტექნიკური პირობები, ეს უკვე ჩვენი პრეროგატივა არ არის. იმ სტანდარტით გამომცხვარი პური, რაც სახელმწიფოს აქვს დაწესებული, ნამდვილად კარგი უნდა იყოს.

კანონში პირდაპირ წერია დეკლარირებული სტანდარტი, შესაბამისად, მეწარმემ დოკუმენტაციაში უნდა მიუთითოს, რომ პურს ამ სტანდარტით აცხობს, შემმოწმებელმაც ამ სტანდარტით უნდა შეამოწმოს პროდუქცია. თუ მეწარმე მას არღვევს, ძალიან ცუდია”, - აცხადებს ჭიჭინაძე.

რაც შეეხება ცხობის სტანდარტს, ის არის მეწარმის ინტელექტუალური საკუთრება და ამას სახელმწიფო ვერ დააწესებს.

“იმისათვის, რომ პური ხარისხიანი იყოს, საწარმოში სრულყოფილი ტექნოლოგიური პროცესი უნდა მიმდინარეობდეს”, - აცხადებს მეპურეთა ასოციაციის ხელმძღვანელი მალხაზ დოლიძე. მისი თქმით, პურის ცომი სათანადოდ უნდა მოიზილოს, დაცული უნდა იყოს სათანადო ტემპერატურული რეჟიმი, მიკრობიოლოგიური პროცესი და სხვა მრავალი...

“საერთო ჯამში, როგორი პური გამოვა ბაზარზე სარეალიზაციოდ, მეწარმის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. დღეს ბაზარს მართავს გამყიდველი. რომელი დისტრიბუტორიც იაფ პურს მიუტანს, იმას მიიღებს, რათა მეტი მოგება დარჩეს და შესაბამისად, მომხმარებელიც იაფ, ნაკლებად ხარისხიან პურს ყიდულობს. ამიტომაც ხშირად ისმის კრიტიკა პურის ვარგისიანობასთან დაკავშირებით”, - დასძინა დოლიძემ.

ჩვენი ინფორმაციით, პურის ხარისხთან დაკავშირებით ბოლო წლებში სპეციალური კვლევა არ განხორციელებულა. ერთერთი უკანასკნელი რამდენიმე წლის წინა არასამთავრობო ორგანიზაცია “კავშირი 21-ე საუკუნემ” ჩაატარა. მაშინ პურის ხარისხობრივი მაჩვენებლებისა და უსაფრთხოების პარამეტრების დადგენის მიზნით, ორგანიზაციამ რამდენიმე სახეობის პური შეამოწმა. აღმოჩნდა, რომ შემოწმებული პურის დიდი ნაწილი არ პასუხობდა ამ სპეციალურ მოთხოვნებს, რაც პურთან მიმართებაში არსებობს.

როგორც “კავშირი 21-ე საუკუნეში” აცხადებენ, მას შემდეგ სიტუაცია გაუარესდა: “ჩვენ კვლევა რამდენიმე წლის წინ ჩავატარეთ და აღმოჩნდა, რომ ქართული პურის დიდი ნაწილი შესაბამის მოთხოვნებს არ პასუხობდა. მართალია, მას შემდეგ კვლევა აღარ ჩაგვიტარებია, მაგრამ, ცხადია, რომ ბაზარზე რეალიზებულ პურთან მიმართებაში ბევრი რამ შეიცვალა და ძირითადად უარესობისკენ”.

რობიზონ იაკობიშვილის ხსოვნას მიეძღვნა

30 აპრილს დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლის საკონცერტო დარბაზში დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაციის ეგიდით, 2012 წლის „მეტრის“, ნომინაციაში „2012 წლის რეიტინგული ადამიანი“ ნომინანტის რობიზონ იაკობიშვილის ხსოვნის საღამო ჩატარდა. პროექტის ავტორი და ორგანიზატორი გახლდათ დედოფლისწყაროს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილე ნანა ჭიჭინაძე, ხსოვნის საღამო ამავე ორგანიზაციის თავჯდომარის ვანო ნატროშვილის პატრონაჟით ჩატარდა. პროექტის მხარდამჭერი კი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი იყო. საღამოზე ფერმერის ბიოგრაფიული ცნობები წარმოადგინეს და მის პიროვნულ თვისებებზე ისაუბრეს.

საღამოს წმაყვანმა – ხელოვნების სკოლის პედაგოგმა ხათუნა ფიროსმანაშვილმა ვცლად ისაუბრა მის ბიოგრაფიასა და სამეურნეო საქმიანობაზე: რობიზონ იაკობიშვილი - ეს სახელი და გვარი ათეული წლები ამშვენებდა, ეშხსა და სილამაზეს ჰმატებდა სოფელ ზემო მაჩხაანს, საქართველოში ხვავითა და ბარაქით განთქმულ ერთ-ერთ უმდიდრეს კოლმეურნეობას, სადაც იგი მუშაობდა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე - მეცხვარეობის ფერმის გამგედ, ხოლო საზოგადოებრივ საწყისებზე ჯერ პროფკავშირების რწმუნებულად, ხოლო შემდეგ სიცოცხლის ბოლო დღემდე - მწიგნობართა რაიონული ორგანიზაციის გამგეობის წევრად. იმ დროს ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობის თავჯდომარე გახლდათ სახელოვანი, სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეული, სოციალისტური შრომის გმირი ნიკო მამაიაშვილი. მისი 70 წლის იუბილეზე, რომელიც ზემო მაჩხაანის კულტურის სახლში, ხალხით გადაჭედილ დარბაზში გაიმართა, მიხაკო ორაგველიძემ, რომელიც ყოფილი მახარაძის სოფელ „შრომის“ კოლმეურნეობის თავჯდომარე იყო, ნიკო მამაიაშვილს ასე მიმართა: „დასავლეთ საქართველოში მიხაკო ორაგველიძე რომ არ ვყოფილიყავი, აღმოსავლეთ საქართველოში ნიკო მამაიაშვილობას ვინატრებდიო“, აი, ამ თავკაცის გვერდით იზრდებოდა და ყალიბდებოდა კაცურ კაცად ბატონი რობიზონი. იგი გამოირჩეოდა კოლეგებთან არაჩვეულებრივი დამოკიდებულებით და კეთილგონიერი ურთიერთობით, რამაც მას დამსახურებული ავტორიტეტი მოუპოვა ხალხში.

დიდი მოწიწებით გაიხსენა ბატონი რობიზონი მისმა უახლოესმა მეგობარმა, კოლეგამ და მწიგნობართა ასოციაციის წევრმა მაია პაპაჩაშვილმა:

„დღევანდელი საღამო ტკივილიანი სიხარულია ჩემთვის. დიდი მადლობა, რომ მომეცა რობიზონ იაკობიშვილის ოჯახისადმი პატივცემისა და მადლიერების გამოხატვის საშუალება. მე მასთან და მის არაჩვეულებრივ მეუღლე მზია იაკობიშვილთან ერთად წლების მანძილზე მომიწია მუშაობა. მიუხედავად ჩვენს შორის ასაკობრივი სხვაობისა, მათ ოჯახს ჩემს მეგობრად მივიჩნევდი. ბევრი რამ ვისწავლე მათგან.

რობიზონ იაკობიშვილმა წარმატებებს თავდაუზოგავი შრომის ფასად მიაღწია, გამოირჩეოდა თავისი საქმისადმი სიყვარულით, პიროვნული მომხიბვლელობით. თავმოყვარე და შინაგანად მოწესრიგებული ადამიანი იყო.

სულ თვითონ იყო სხვისი დამხმარე, გზის გამკვლევი და ხელის შემშველებელი. ყველაფერს მშვიდად და უანგაროდ აკეთებდა, არ უყვარდა აფიშირება, იშვიათი მასპინძელი იყო- გაუჩენარს გააჩენდა. სამაგიეროს არავისგან ითხოვდა. ამაო გამოდგა უფროსი შვილის- სანდროს თავდადება მამის სიცოცხლის გადასარჩენად.

რობიზონ იაკობიშვილის უანგაროდ გაკეთებული საქმეები მის შვილს და შვილიშვილებს გაუიოლებს ცხოვრების გზას.

ნათელში იყოს მისი სული.

ლია ჩოქური- დედოფლისწყაროს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა რაიონული ორგანიზაციის მდივანი:

„ბატონმა რობიზონმა ყრმობის, სიჭაბუკისა და ვაჟკაცობის პერიოდი სასახელოდ გაიარა, უსაზღვრო ბედნიერებაა, კაცმა თავისი ადგილი იპოვოს და უკვდავება დაიმკვიდროს, დღვანდელი ხსოვნის საღამოც ხომ ამის დასტურია“..

მოგვიანებით სცენაზე დედოფლისწყაროს გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი ავიდა და საღამოს ორგანიზატორებს ამ დღისთვის მადლობა გადაუხადა. შემდეგ კი, პატივისცემისა და ყურადღების ნიშნად, გვანეტა ბეთანელი, მუნიციპალიტეტის გამგეობის სახელით, მადლობის სიგელით დააჯილდოვა და დედოფლისწყაროში ჩამოსვლისთვის მადლობა გადაუხადა.

„ჩვენ, ხელისუფლების წარმომადგენლები, ძალაქის გალამაზებაზე ვიზრუნებთ, ასეთი ვირტუოზი შემსრულებლები კი ჩვენს სულიერ და კულტურულ ცხოვრებას გაალამაზებენ და ამგვარი საღამოებით დაგვატკბოებენ. ასე ერთად დგომით აშენდება საქართველო. მნიშვნელოვანია, რომ კლასიკური მუსიკის საღამოები დედოფლისწყაროშიც ხშირად გაიმართოს, რადგან ნათლად ჩანს, რომ ჩვენი მაყურებელი გემოვნებიანი მუსიკის მოსმენას გადაეჩვია. უნდა ვეცადოთ, რომ როგორმე გავაქტიურდეთ და ეს ვაკუუმი შევავსოთ, წელიწადში რამდენჯერმე მაინც მოხერხდეს კლასიკური მუსიკის საღამოების გამართვა,“ - აღნიშნა გამგებელმა.

შემდეგ კი საღამოს ორგანიზატორმა ნანა ჭიჭინაძემ ფერმერ რობიზონ იაკობიშვილის დამსახურებების გახსენების შემდეგ გვანეტა ბეთანელის მიღწევებზეც ისაუბრა და ახალგაზრდა ვირტუოზს მადლობა გადაუხადა შემოთავაზების მიღებისა და დედოფლისწყაროში სტუმრობისთვის. მისი თქმით, გვანეტა დედოფლისწყაროში სტუმრობას ყოველთვის სიამოვნებით თანხმდება.

„თავდაპირველად 5 წლის წინ ვიმყოფებოდი დედოფლისწყაროში, ფანტასტიური სოლო კონცერტი გავმართე და როდესაც გერმანიაში გავემგზავრე, სასიამოვნო შთაბეჭდილებებით დატვირთული ვიყავი. ძალიან მომეწონა დედოფლისწყარო, აქაური გარემო, მასპინძლობა. ამჯერადაც, რადგან თბილისში ვიმყოფებოდი, გადავწყვიტე მონაწილეობა მიმეღო ამ ღონისძიებაში,“ - განუცხადა გაზეთ „შირაქს“ გვანეტა ბეთანელმა.

გვანეტამ მსმენელს შესთავაზა სპეციალურად შერჩეული რეპერტუარი. მაღალი საშემსრულებლო ხელოვნება, დახვეწილობა და ფაქიზი გემოვნება აშკარად იგრძნობოდა მის მიერ შესრულებულ თითოეულ ნაწარმოებში. დამსწრე საზოგადოებამ დიდი სიამოვნება მიიღო როგორც უცხოური, ისე ქართული ნაწარმოებების შესრულებით. ხელოვნების სკოლის დირექტორმა მარიამ კიკილაშვილმა აღნიშნა: “ ხელოვნების, ასე ვთქვათ ხარისხი, დონე, ანუ სიმაღლე, რა თქმა უნდა, დამოკიდებულია პიროვნების სულიერებაზე. როგორიც არის ადამიანის სულიერება. ისეთივეა შემოქმედებაც. გვანეტას შემოქმედება თბილი, ლირიული, თავმდაბალი, უშუალო და ბუნებრივია, ისევე როგორც მისი სულიერი ბუნება.”

ხსოვნის საღამო დასრულდა რეზო თაბუკაშვილის ლექსით, რომელიც პოეტმა გარდაცვალებამდე ორი დღით ადრე დაწერა;

„ მშვიდობას ვეტყვი, მალე ქართულ ზეცის საფირონს
და მცირე ტალღად შევერწყმები ზღვას უნაპიროს.
ქარს, იმ ქვეყნიურს დავუხვედრებ, მალე, წინ აფრას;
დიდებულია! გარდავიქცევი მალე წინაპრად.
და თუმცა ჩემი გამგზავრება ჰგავდა წვალებას,
სიკვდილი მაინც არ დაარქვათ გარდაცვალებას,
მე წავალ, რადგან დრო არა მაქვს უკვე არჩევნის,
მე წავალ, მაგრამ სამუდამოდ თქვენთან დავრჩები“

ეს სტრიქონები ჭეშმარიტად მიესადაგება რობიზონ იაკობიშვილის ხსოვნას. ნათელში იყოს მისი სული.

ილია მარტყოფლიშვილი

მოგონებებში ვაცოცხლოთ წინაპრები...

მოგონებებში ვაცოცხლოთ ჩვენი წინაპრები... წყალი დავუსხათ ფესვებს... არ მივცეთ მათ მივიწყების საშუალება... ამ დევიზით წარსდგნენ 7 მაისს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში სოფ. სამრეკლოს მეცხრე, მეათე, მეთერთმეტე კლასის მოსწავლეები მსმენელთა წინაშე. პროექტი „ჩვენი სოფლის ისტორია”, რომლის ავტორი ისტორიის მასწავლებელი ეკა ჯავახიშვილი გახლავთ, ახლად იდგამს ფესვებს და სამომავლოდ პროექტის ფარგლებში უამრავ სიახლეს გვპირდება. სამრეკლოს საჯარო სკოლის უფროსკლასელთა ნაკრებმა მონიტორზე სლაიდების ჩვენების პარალელურად, სოფლის ისტორიის სათავეების შესახებ შეგვახსენეს, აგრეთვე, გამოჩენილი მოქალაქეების: ლადო ათანელის, მარინა ბოსტოღანაშვილის, ელენე ბოლაშვილის, თამაზ ყარაგვეზაშვილის, ხვიჩა ქოქუაშვილის მიერ სოფლისა და ქვეყნის წინაშე გაწეული დამსახურების შესახებ კიდევ ერთხელ მოუთხრეს აუდიტორიას. მოსწავლეთა მიერ ქრონოლოგიურად მოთხრობილმა სოფლის ისტორიამ, კიდევ ერთხელ ნაამბობმა „წმინდა სერაფიმე საროველის ტაძრის“ მშენებლობის თაობაზე, ამ ყველაფრის მუსიკალურად გაფორმებამ თავად მოსწავლეების მიერ, პოეტ თამაზ წიკლაურის სოფ. სამრეკლოზე წარმოთქმულმა ლექსებმა კიდევ ერთი, მოსწავლეთათვის საინტერესო და მაყურებლებისთვის სასიამოვნო დღე დაუტოვა მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მდიდარ ისტორიას.

ღონისძიების დასასრულს, მუზეუმის დირექტორმა ლალი გურასპაულმა და კულტურისა და სპორტის სამსახურის დირექტორის მოადგილემ ნინო ნიკვაშვილმა მადლობა გადაუხადეს მოწვეულ სტუმრებს მობრძანებისთვის, ხოლო მასწავლებელს და მოსწავლეებს კი ამ მეტად საინტერესო და პატრიოტული პროექტის წამოწყებისთვის.

ელზა ხარაშვილი

გმირები კიდევ ერთხელ გაიხსენეს

9 მაისს დედოფლისწყაროში, შინმოუსვლელთა მემორიალთან მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა პატივსაცემად ღონისძიება გაიმართა. დედოფლისწყაროს ხალხური მომღერლების ანსამბლებმა ვეტერანებს მუსიკალური ნომრები მიუძღვნეს.

სამამულო ომის მონაწილეებს სიტყვით მიმართეს დედოფლისწყაროს გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა და საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელმა მიხეილ ბახუტაშვილმა.

„პირველ რიგში დიდი პატივისცემით მინდა მივესალმო იმ ადამიანებს, რომელთა თავზეც არაერთმა მძიმე ბრძოლამ გადაიარა და დღეს ჩვენს წინაშე ამაყად სხედან. გული იმაზე მწყდება, რომ ყოველწლიურად ამ გმირების რიცხვი კლებულობს. მეამაყება, რომ დღეს აქ ვართ და ყველა ერთად დიდ გამარჯვებას ვზეიმობთ. დარწმუნებული ვარ, რომ იქ სადაც იბრძოდით, ამით დედოფლისწყაროს და თქვენს ოჯახებს იცავდით. მინდა ყველას ვთხოვო, რომ განსაკუთრებული პატივისცემით და მოწიწებით მოგეპყრან. დიდხანს სიცოცხლე მინდა გისურვოთ და გპირდებით, რომ თვითმმართველობა ყოველთვის იზრუნებს თქვენზე," - აღნიშნა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

ღონისძიებას ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიის სამღვდელოებაც ესწრებოდა, მოგვიანებით ეპისკოპოსმა მელქისედეკ ხაჩიძემ დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა, ამ დღის მნიშვნელობაზე ისაუბრა და ომის ვეტერანებს მადლობა გადაუხადა.

ღონისძიების დასრულების შემდეგ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტმა ვეტერანებს, რომელთა ნაწილის ასაკი 100 წელს აღწევს, რესტორანში უმასპინძლა.

ირაკლი ღარიბაშვილმა და პატრიარქმა ვეტერანებს ფაშიზმზე გამარჯვების დღე მიულოცეს

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ვაკის პარკში უცნობი ჯარისკაცის საფლავი გვირგვინით შეამკო.

პრემიერი ვაკის პარკში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორესთან ერთად იმყოფებოდა. ღარიბაშვილმა უცნობი ჯარისკაცის საფლავთან შეკრებილ მოქალაქეებს სიტყვითაც მიმართა და მათ ფაშიმზე გამარჯვების 69-ე წლისთავი მიულოცა.

"მოგილოცავთ დღევანდელ დღეს, ესაა კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დღე — დღე ფაშიზმზე გამარჯვების. მინდა ეს დღე დიდი პატივისცემით და სიყვარულით მივულოცო განსაკუთრებით ჩვენს ვეტერანებს. ფაშიზმზე გამარჯვება ესაა დღე, რომლის მიღწევაში ჩვენს თანამოქალაქეებს უდიდესი წვლილი აქვთ შეტანილი. ვიცით, რომ დაახლოებით 300 000 ჩვენი თანამოქალაქე იბრძოდა და გმირულად დაიღუპა მეორე მსოფლიო ომში, მხოლოდ ქერჩის ბრძოლაში 120 000 ქართველი დაეცა გმირულად. მე, როგორც რიგითი მოქალაქე, ქედს ვიხრი მათი უკვდავი სულების წინაშე და დღეს აქ მოვედი იმისთვის, რომ პატივი მივაგო მათ ხსოვნას, - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მისივე განმატრებით, ცივილიზებული სამყაროს ვალია, რომ საკუთარ ვეტერანებზე იზრუნოს.

"თუ ჩვენ გვაქვს ამბიცია და პრეტენზია, რომ გავხდეთ თანამედროვე სახელმწიფო, ვეტერანებზე უნდა ვიზრუნოთ. ჩვენი მთავრობა შესაძლებობის ფარგლებში ყველაფერს აკეთებს, რომ ვეტერანების მდგომარეობა გავაუმჯობესოთ. 69-ე წლისთავთან დაკავშირებით ჩვენმა მთავრობამ გამოყო 400-ლარიანი დახმარება ვეტერანებისთვის და 200-ლარიანი დახმარება მარჩენალდაკარგული ოჯახებისთვის. ვიცით, რომ ეს არ არის საკმარისი, მაგრამ ვცდილობთ, რომ მათი მდგომარეობა გახდეს უკეთესი. ჩვენი ვალია, რომ მათი ჯანდაცვა იყოს უფრო მაღალი ხარისხის და იცით, რომ ამოქმედდა ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ვეტერანებისთვის სამედიცინო მომსახურებას 100%-ით ფარავს", - განაცხადა ღარიბაშვილმა.

ჯარისკაცის მამის გადაღებიდან 50 წლის იუბილე აღინიშნება

საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით , დღეს ქართული მხატვრული ფილმის - „ჯარისკაცის მამა" გადაღებიდან 50 წლის იუბილე აღინიშნება.

ჯარისკაცის მამა გადაღებულია სტუდიაში „ქართული ფილმი" 1964 წელს რეჟისორ რეზო ჩხეიძის მიერ, სულიკო ჟღენტის სცენარით. მთავარ როლში - სერგო ზაქარიაძეა.

ფილმის სცენარი ასეთია: კახელი გლეხი გიორგი მახარაშვილი დაჭრილი შვილის მოსანახულებლად ფრონტზე გაემგზავრება. როდესაც ადგილზე ჩააღწევს, შვილი ჰოსპიტალში აღარ დახვდება — გამოჯანმრთელებული გოდერძი თავის ნაწილში დაბრუნებულა. გიორგი შვილის კვალს გაყვება და ფრონტის წინა ხაზზე აღმოჩნდება. ჯარისკაცის მამა სამხედრო ხელმძღვანელობას დაარწმუნებს, რომ ახალგაზრდებს არ ჩამოუვარდება. ნაწილში დარჩენას მოითხოვს და ბრძოლით გერმანიის საზღვრამდე მივა. ომის მიწურულს გიორგი შვილს იპოვის, მაგრამ მძიმე ბრძოლაში გოდერძი მამის თვალწინ დაიღუპება.

რეზო ჩხეიძის ფილმმა „ჯარისკაცის მამა" კინოეკრანზე გამოსვლისთანავე დიდ წარმატებას მიაღწია და პრემია კორკში (ირლანდია), X საერთაშორისო კინოფესტივალზე მიიღო; 1965 წელს დაიმსახურა დიპლომი სან-ფრანცისკოსა და სალონიკის კინოფესტივალებზე; რომის II საერთაშორისო კინოფესტივალზე ფილმმა პრიზი - „კაპიტოლიუმის იუპიტერი" მიიღო.

2012 წელს ფილმის „ჯარისკაცის მამა" ფერადი ვერსია გამოვიდა.

კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, მუზეუმის „უკვდავთა თაღში" გაიხსნება კინორეჟისორის, სახალხო არტისტისა და საზოგადო მოღვაწის, რეზო ჩხეიძის ხელის ანაბეჭდი, მისივე ავტოგრაფით.

ხელოვნების სასახლეში ანაბეჭდების გახსნის ტრადიციას ერთი წლის წინ ჩაეყარა საფუძველი. აღნიშნულ თაღში ყველა იმ პიროვნების ხელის ანაბეჭდი იქნება წარმოდგენილი, ვისაც განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ქართული კულტურის განვითარებაში. ამ ეტაპზე უკვე გახსნილია კინორეჟისორ ელდარ შენგელაიას, მსახიობების - ოთარ მელვინეთუხუცესის, გივი ბერიკაშვილის, კახი კავსაძისა და მომღერალ პაატა ბურჭულაძის ხელის ანაბეჭდები.

გიორგობა ოზაანში

6 მაისს, გიორგობა დღეს, სოფელ ოზაანის ბიბლიოთეკაში გახლდით, სადაც ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის ქრისტინე კიკილაშვილის ინიციატივით ღონისძიება გაიმართა. შეხვედრას, რომელიც თემატურად გიორგობასთან იყო კავშირში, სოფლის ძირთადი აქტივი ესწრებოდა. აქვე გახლდათ გამგებლის რწმუნებული სოფელ ოზაანში გელა ოზაშვილი, ღონისძიებას რაიონიდან ესწრებოდნენ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და სპორტის ცენტრთან არსებული საბიბლიოთეკო გაერთიანების ხელმძღვანელი მანანა მაჭარაშვილი და ამავე გაერთიანების ბიბლიოთეკარი მანანა ბენაშვილი.

„დიდმოწამე წმინდა გიორგი" – ასეთი გახლდათ ღონისძიების სახელწოდება, რომელიც ამ სოფლის სკოლის მეათე – მეთერთმეტე კლასის მოსწავლეებმა კლასის ხელმძღვანელის, პედაგოგ ნანა ოზაშვილის უშუალო დახმარებით წარმოგვიდგინეს. – „წმინდა გიორგი კაბადოკიელია, გიორგის მამა-გერონტიოსი საკმაოდ შეძლებული სამხედრო პირი იყო. ის მთელი გულით აღიარებდა ქრისტეს და ისიც მოწამეობრივად აღესრულა სჯულის დაცვისთვის. დედა მცირეწლოვანი შვილით თავის სამშობლოში – პალესტინაში წავიდა, იგი ქრისტეს მცნებებით ზრდიდა მომავალ წმინდანს, რომელმაც ჭაბუკობიდანვე გაითქვა სახელი თავისი ახოვანებით, ვაჟკაცობით და სულ მალე, იმპერატორ დიოკლეტიანეს ჯარის წინამძღოლი გახდა, აქაც ქრისტეს სჯულს იცავდა, რამეთუ, უფალი გვასწავლის, კეისარს–კეისრისა და ღმერთს – ღვთისაო. გიორგი იმპერატორსაც პირნათლად ემსახურებოდა და უფლის თავგანწირულ სიყვარულსაც ატარებდა გულით." – ამბობს თავის სიტყვაში მოსწავლე ქეთი ჩალახეშაშვილი.

მოსწავლეებმა ნინო ჩალახეშაშვილმა და თამუნა სუხიტაშვილმა გიტარის თანხლებით შეასრულეს სიმღერა „ისმინე ჩვენი ვედრება", სალომე თარაშვილმა წაგვიკითხა ლექსი „იესო ქრისტე", ხოლო ლექსი „ჩემო საქართველო, მართლმადიდებელო!" წაგვიკითხა ანანო თევზაძემ, ლექსი „ყველაფერი კარგად იქნება" წაიკითხა ნინო ჩალახეშაშვილმა. წმინდა გიორგისადმი მიძღვნილი თემა წარმოადგინა ასევე შორენა პაპუაშვილმა. მთლიანობაში ღონისძიებამ თბილ და სასიამოვნო გარემოში ჩაიარა. ბიბლიოთეკის მცირე ოთახის ერთ კუთხეს ამშვენებდა მოსწავლის ნოდარ ჯანიაშვილის მიერ სპეციალურად ამ დღისთვის შექმნილი ნახატები და ნამუშევრები, სადაც, მთელი ღონისძიების მსვლელობისას, წმინდა გიორგის ხატის წინ ენთო წმინდა სანთელი.

მიუხედავად სხვა შენობებში ხშირი შეკედლებისა, უამრავი სიდუხჭირისა და გაჭირვებისა, სოფელ ოზაანის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელს ქრისტინე კიკილაშვილს დიდი წვლილი მიუძღვის ოზაანის საბიბლიოთეკო ფონდის გადარჩენის და დღემდე ჩვენამდე მოტანის საქმეში. რის გამოც, მისი შრომა ორმაგად დასაფასებელია. ქალბატონი ქრისტინე, უკვე წლებია, ამ სფეროში მუშაობს, ის ძალიან კარგი მუშაკია და სანიმუშოდ უძღვება თავის საქმიანობას. იგი ჩემი, როგორც მკითხველის, მასპინძელიც, ბავშვობიდან დღემდე, არაერთხელ ყოფილა და მხოლოდ გულისხმიერიდა-მოკიდებულება მახსოვს მისგან. ამიტომ, არათუ მხოლოდ ლამაზი ღონისძიებების ჩატარებისთვის, არამედ მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა და მუშაობისთვის, იგი ნამდვილად იმსახურებს სოფლის მოსახლეობის მადლიერებას. წელს, ოზაანის საბიბლიოთეკო ფონდს, როგორც მანანა მაჭარაშვილმა თავის სიტყვაში აღნიშნა, 1000–ზე მეტი წიგნი შეემატა, რამაც მკითხველთა რაოდენობა საგრძნობლად გაზარდა. ქალბატონმა მანანამ მადლობა გადაუხადა ღონისძიების ორგანიზატორს, ყველას, ვინც მხარში ამოუდგა ოზაანის ბიბლიოთეკას, მონაწილეებს, პედაგოგებს, სკოლის დირექციას და დამსწრე საზოგადოებას.

წარმატებები მინდა ვუსურვო მუშაობაში ჩემი სოფლის ბიბლიოთეკას და თავად ბიბლიოთეკარს, სოფლის ახალგაზრდებს კი მოვუწოდებ, იმ ფუფუნებას დაეშურონ, რასაც ბავშვობის წლები და სოფლის ბიბლიოთეკა აძლევთ მათ, არ გაუშვან შანსი, მაქსიმალურად გამოიყენონ სკოლის ასაკის თითოეული წუთი და წამი შემეცნებისთვის, რადგან არაფერია იმაზე უფრო სასარგებლო და ტკბილი, რასაც ბავშვობაში წაკითხული წიგნის მადლი და ფასი ჰქვია.

ლალი მეხრიშვილი

ისტორიულ სამშობლოში მოილოცეს

გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით, ყოვლადუსამღვდელოესმა ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსმა მელქისედეკმა, სადღესასწაულო წირვა აღავლინა კახის (ჰერეთი, აზერბაიჯანი) წმინდა გიორგის მონასტერში, წირვის დასრულების შემდეგ იყო ლიტანიობა, ხოლო შემდეგ კი მეუფემ ქადაგებით მიმართა მრევლს, მიულოცა გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაული და ასევე გადასცა მისი უწმინდესობის მილოცვაც, ამის შემდეგ მღვდელმთავარმა პარაკლისი გადაიხადა წმ.მღვდელმოწამე მიქაელის (ყულოშვილი) საფლავზე. მისი ყოვლადუსამღვდელოესობა კახის მამათა მონასტრიდან ავიდა ქურმუხის წმინდა გიორგის ტაძარში, სადაც ასევე გადაიხადა პარაკლისი, ბოლოს კი, ქურმუხიდან მეუფე ჩავიდა სოფელ ქოთოქლოში (შუახევი), სადაც მოილოცა წმინდა სამების ტაძარში.

მონატრება

მერაბ შანშიაშვილი



16 მაისს შენი დაბადების დღეა, ძმაო მერაბ, 5 წელია, რაც უშენოდ აღვნიშნავთ ამ თარიღს, რა ბედნიერ დღედ მახსენდება ეს დღე და რა მტკივნეულ დღედ გადამიქცია, ძმაო მერაბ! 14 წლით ჩემზე უფროსი იყავი და შვილივით გამზარდე, ყველა სურვილს მისრულებდი და არაფერი დაგიკვლია ჩემთვის, მე კი დახმარება ვერ აღმოგიჩინე, ჩემო მერაბ, გულის ტკივილით ჩემი მეუღლის ხელში რომ დალიე სული და ვერაფერი გიშველეთ. წახვედი და ყველას დააკლდა შენი ლამაზი სული, შენი ადამიანობა და კაცობა, გული გვტკივა მე და ჩემს ოჯახს, რომ შენი სახლის სარკმლებში სინათლე ჩაქრა. ენატრები ყველას - შვილებს, შვილიშვილებს, შვილთაშვილებს, ჩემს შვილებს და შვილიშვილებს. გჯეროდეს, შენს სახელს არასოდეს დავივიწყებთ. მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი მიწა, ჩემო ძვირფასო მერაბ!

შენი ძმა ნუგზარ შანშიაშვილი, **რძალი** მაყვალა, **შვილები** დათო და ნინო, **რძალი** ნანა.

ფაცო მამუკაშვილი

ჩვენო საყვარელო ძმაო, უკვე მესამე გაზაფხული და მესამე დაბადების დღე მოვიდა უშენოდ. შენ ხომ ძალიან გიყვარდა შენი დაბადების დღე, რომელსაც მარტოობაში ატარებდი, რადგან შენი შვილები და შვილიშვილები აქ არ ცხოვრობენ.

ჩვენთვის, შენი დედმამიშვილებისათვის იქნები მარადიული სევდა და ტკივილი. მოვალთ შენს საფლავთან, დაგინთებთ სანთლებს, დავღვრით ცრემლს და ვილოცებთ შენი ფაქიზი სულისთვის.

მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი მიწა. ნათელში იყავი შენს მშობლებთან ერთად.

ძალიან გვიყვარხარ და გვენატრები, ჩვენო ერთადერთო ძმაო!..

შენი დები: ფატი, მაყვალა.

გივი თარაშვილი



ორმოცი დღე რა სწრაფად გავიდა. უშენოდ მოვიდა გაზაფხული, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული და 28 აპრილი -შენი დაბადების დღე, რომელიც ერთად უნდა გვეზეიმა.

რა ულმობელია წუთისოფელი, მეგონა, ვერაფერი მოგერეოდა ამხელა მთასავით კაცს, რომელსაც ასე ძალიან გიყვარდა სიცოცხლე. მომავლის გეგმებს აწყობდი, ყურს უკან კი თურმე სიკვდილი ყოფილა ჩასაფრებული. საუბარში, ხუმრობასა და სიცილში ისე უცებ დაიღუპე, შენ თვითონაც ვერ მიხვდი, რა ხდებოდა შენს თავს. შენებური ჩვეული ხმაურით ბოლოს კიდევ ერთხელ აახმაურე მთელი ოზაანი და გადასახლდი სხვა სამყაროში, იქ, საიდანაც უკან აღარასოდეს ბრუნდებიან.

უაზროდ დავდივარ ოთახებში. გეძებ და გელოდები. ყოველ წუთს მგონია, რომ შემოაღებ კარებს და შენებური ომახიანი ხმით აახმაურებ სახლს. შემდეგ ეზოს მოვათვალიერებ, იქნებ იქ ტრიალებ სადმე და მე ვერ შეგნიშნე... გაუსაძლისია ეს დაუსრულებელი მოლოდინი და იმედის გაცრუების მწარე წუთები.

გულს მხოლოდ ის მიმშვიდებს,რომ ამქვეყნად კარგი ადამიანის სახელი დატოვე. თურმე ყველას ყვარებიხარ „ოქროს გივი" დაიღუპაო, სინანულით ამბობენ შენზე. მხარში მიდგანან შენი ახლობლები და მამხნევებენ. მეც თავს ვაიძულებ, რომ მხნედ ვიყო, მაგრამ უშენობა მძიმე ლოდივით მაწევს გულზე და გასაქანს არ მაძლევს.

ყოველდღე ვლოცულობ შენთვის. სანთლებს ვანთებ და ღმერთს ვევედრები, რომ ნათელში ამყოფოს შენი კეთილი სული. დაე, ჩემს მიერ დანთებულმა სანთლებმა გაგინათონ გზა მარადიულ სასუფეველში.

შენი დამწუხრებული მეუღლე-
ლალი კევლიშვილი.

ოზიმარდი და ნინელი, გია და თეა იაკობიშვილები ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ რძალს- მაგდა კოტაშვილს დედის

ნელი კოტაშვილის

გარდაცვალების გამო.

შვილები: მაგდა და გუჯა კოტაშვილები, სიძე ზაზა იაკობიშვილი, შვილიშვილები ლანა და ცოტნე იაკობიშვილები, დედამთილი ანასტასია კოტაშვილი იუწყებიან

ნელი კოტაშვილ-ალუღიშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 10 მაისს, 13 საათზე ქ. დედოფლისწყაროში.

ზემო მაჩხაანის საშუალო სკოლის 1973 წლის X-1 კლასის კურსდამთავრებულები იუწყებიან

ვაჟა ბოსტაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

მეუღლე თამარ გონაშვილი; შვილები: ზურაბ და დათო ბოსტაშვილები; რძლები თიკო წერეთელი, ანი ნატროშვილი. შვილიშვილები ლუკა და ელენა ბოსტაშვილები; დები ლალი და დალი; სიძე მიხა ბუჩუკური; ცოლისძმები თამაზ და თენგო გონაშვილები; დისშვილი, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, მძახლები ოჯახებით იუწყებიან

ვაჟა ზურაბის ძე ბოსტაშვილის

გარდაცვალებას.
პანაშვიდი 9 მაისს 5 საათზე, დაკრძალვა 10 მაისს, 2 საათზე.

ტესტი

ადამიანის ხასიათი კალიგრაფიის მიხედვით

სუფთა, უხაზო ფურცელზე რამდენიმე წინადადება დაწერეთ და მხოლოდ ამის შემდეგ შეუსაბამეთ თქვენი ხელწერა ტექსტში მოცემულ პუნქტებსა და ქულებს:

1. ასოების ზომა

ა) ძალიან პატარა — 3 ქულა;
ბ) პატარა — 7 ქულა;
გ) საშუალო — 17 ქულა;
დ) მსხვილი — 20 ქულა.

2. ასოების დახრილობა

ა) მარცხნივ დახრილი — 2 ქულა;
ბ) მარცხნივ მცირედ დახრილი — 5 ქულა;
გ) მარჯვნივ დახრილი — 14 ქულა;
დ) მარჯვნივ მკვეთრად დახრილი — 6 ქულა;
ე) თანაბარი — 10 ქულა.

3. ასოების ფორმა

ა) მრგვალი — 9 ქულა;
ბ) კვადრატული — 10 ქულა;
გ) წაწვეტებული — 19 ქულა.

4. ტექსტის მიმართულება

ა) ზემოთ მიმართული სტრიქონები — 16 ქულა;
ბ) ქვემოთ მიმართული სტრიქონები — 1 ქულა;
გ) სწორხაზოვანი სტრიქონები — 12 ქულა.

5. ფურცელზე კალმის დაჭერის სიძლიერე

ა) მცირე — 8 ქულა;
ბ) საშუალო — 15 ქულა;
გ) ძალიან ძლიერი — 21 ქულა.

6. ასოების წერის სტილი

ა) სიტყვაში ასოების გადაბმა — 11 ქულა;
ბ) სიტყვაში ასოების განცალკევება — 18 ქულა;
გ) შერეული სტილი — 15 ქულა.

7. საერთო მახასიათებელი

ა) მონდომებით, აკურატულად დაწერილი ტექსტი — 13 ქულა;
ბ) ალაგ — გარკვევით, ალაგ — ბუნდოვნად დაწერილი ტექსტი — 9 ქულა;
გ) დაუდევრად, გაურკვევლად დაწერილი ტექსტი — 4 ქულა.

შეაჯამეთ ქულები:

38-51 ქულა — ასეთი კალიგრაფია სუსტი ჯანმრთელობის, ადამიანებს ახასიათებს;

52-63 ქულა — ასე მხდალი, პესიმისტი და ფლეგმატური ადამიანები წერენ.

64-75 ქულა — ისინი მერყევი, ლმობიერი, თავმდაბალი, მოწესრიგებული, ოდნავ გულუბრყვილო ადამიანები ჩანან, თუმცა ღირსება აქვთ;

76-87 ქულა — გულწრფელები არიან. მგრძნობიარე ბუნების წყალობით იოლად ექცევიან შთაბეჭდილებების ტყვეობაში. არიან კარგი მეოჯახეები.

88-98 ქულა — გამოირჩევიან პატიოსნებითა და წესრიგით, ძლიერი და მტკიცე ნებისყოფით. მამაცები, ინიციატივიანები და საზრიანები არიან.

99-109 ქულა — ინდივიდუალისტები, ფიცხები, გონიერები, ნიჭიერები და სხარტად მოაზროვნენი არიან, გამოირჩევიან დამოუკიდებელი აზროვნებითა და გადაწყვეტილებებით. ადვილად სწყინთ.

110-ზე მეტი ქულა — ასე წერენ უპასუხისმგებლო, უდისციპლინო, უხეში და ამპარტავანი ადამიანები.

ულოცავენ!

როზიზონ,სესილი,დიმა ნატროშვილებს!

მერი, ვესტა, თამაზ სინჯიაშვილებს!

გილოცავთ რუსოს და ლექსოს ქორწინებას, ახალგაზრდა წყვილს ვუსურვებთ ქართული ტრადიციული ოჯახის შექმნას.

იხარეთ და იბედნიერეთ თქვენს შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად.

უღრმესი პატივისცემით, ილია ჭავჭავაძის სახელობის დედოფლისწყაროს მწიგნობართა რაიონული ორგანიზაციის სახელით:
ხათუნა აბლაძე, ანა ბენაშვილი, ნარა გორაშვილი, ვანო ნატროშვილი, მარიკა პოპიაშვილი, მარინა ღვედაშვილი, დიტო ყოჩიაშვილი, ინგა შიოლაშვილი, ლია ჩოქური, ნანა ჭიჭინაძე **და სხვები.**

თოქ-შოუ „დედოფლისწყაროს საათი“ წლის საუკეთესო გადაცემად დასახელდა

საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოება „ამაგდარის“ მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგად, წლის საუკეთესო გადაცემად თოქ-შოუ „დედოფლისწყაროს საათი“ დასახელდა, რომელიც ტელერადიოკომპანია **„ობიექტივის“** ეთერში გადის.

დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლის საკონცერტო დარბაზში გამართულ ღონისძიებაზე საპატიო სიგელი გადაეცა თოქ-შოუ „დედოფლისწყაროს საათის“ ავტორსა და წამყვანს, ჟურნალისტ **ილია მარტყოფლიშვილს.** ჟურნალისტი დედოფლისწყაროს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის თავმჯდომარის მოადგილე, ნანა ჭიჭინაძემ დააჯილდოვა.

გასული წლის 25 აგვისტოდან, თოქ-შოუ დედოფლისწყაროს საათი ილია მარტყოფლიშვილთან ერთად „ობიექტივის“ ტელე და რადიო ეთერში ყოველ კვირას, 17:30 წუთზე გადის და მაყურებელს დედოფლისწყაროში მიმდინარე აქტუალურ საკუთხებზე ვიდეო სიუჟეტებს და ადგილობრივ სტუმრებთან დიალოგს სთავაზობს.

ილია მარტყოფლიშვილმა მადლობა გადაუხადა როგორც საღამოს ორგანიზატორებს, ისე ჟურნალისტ ირმა ინაშვილს.

„თითქმის ყველა რაიონს აქვს საკუთარი ტელე, ან რადიომაუწყებლობა. მათ შორის კახეთშიც არაერთი ადგილობრივი მაუწყებელი მოქმედებს. სამწუხაროდ, ჩვენ ადგილობრივ ტელეგადაცემებს მოკლებულნი ვიყავით და ბევრისგან მსმენია, რომ ადგილობრივი გადაცემებისადმი ინტერესი დიდია. მოხარული ვარ, რომ ამჯერად დედოფლისწყაროს დიდი ხნის ოცნება აუსრულდა და შესაძლებლობა აქვს აქ მიმდინარე ახალი ამბები გავაცნოთ არა მხოლოდ რაიონის, ან რეგიონის მაცხოვრებლებს, არამედ მთელს საქართველოს. ამისათვის დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ჟურნალისტ ირმა ინაშვილს, რომელმაც სრულიად უსასყიდლოდ, ყოველკვირეულად დაგვითმო საეთერო დრო და საშუალება გვაქვს დედოფლისწყაროში მიმდინარე პროცესები და აქ მცხოვრები ნიჭიერი ადამიანები ფართო აუდიტორიას გავაცნოთ,“ - აღნიშნა ილია მარტყოფლიშვილმა.

შეხვედრა, რომელიც ხელოვნების სკოლაში მწიგნობართა ასოციაციის ორგანიზებით ჩატარდა და ფერმერ რობიზონ იაკობიშვილის ხსოვნას მიეძღვნა, ალა-ფურშეტით დასრულდა.

დედოფლისწყაროს გამგებლის, ნიკოლოზ ჯანიაშვილის განმარტებით, მოსახლეობისთვის ადგილობრივი გადაცემების არსებობა მნიშვნელოვანია.

„მე ვთვლი, რომ გადაცემა „დედოფლისწყაროს საათი“ ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი თანარაიონელებისთვის, რადგან ფართო აუდიტორიას ეძლევა შესაძლებლობა თვალყური ადევნოს დედოფლისწყაროს პრობლემების, მიღწევების თუ ყოველდღიურობის შესახებ ვიდეორეპორტაჟებს. მნიშვნელოვანია, ისიც რომ ქვეყნის სხვა რაიონებშიც შესაძლებელია ამ გადაცემების ყურება. ეს კი დამეთანხმებით, ჩვენი რაიონის პრესტიჟს მაღლა წევს,“ - აცხადებს დედოფლისწყაროს გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი.

სტუდენტებისთვის საჯარო სექტორში სტაჟირება საყოველთაო გახდება

მთავრობა უკვე მუშაობს საკანონმდებლო ცვლილებებზე, რომლითაც სტუდენტებისთვის საჯარო სექტორში სტაჟირება საყოველთაო გახდება , - ამის შესახებ მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე ნინო კობახიძემ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

“ცვლილებების შემდეგ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს საშუალება ექნებათ, სტაჟირება და პრაქტიკა გაიარონ ყველა საჯარო უწყებაში, მათ შორის - რეგიონებში განთავსებულ საჯარო სამსახურებში. საჯარო სექტორში სტაჟირების და პრაქტიკის პროგრამა ახალ შესაძლებლობებს გაუხსნის სტუდენტებს, რადგან ეს დაეხმარება სამუშაო გამოცდილების შეძენაში და წაახალისებს სახელმწიფო სტრუქტურაში მათ დასაქმებას”,- განაცხადა მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილემ.



მისივე განმარტებით, სტაჟიორების და პრაქტიკანტების პირველი ტალღის მიღება ზაფხულში დაიწყება და მათ შესაძლებლობა ექნებათ, საჯარო დაწესებულებებში 1 სექტემბრიდან გამოცხადდნენ.

გარდა ამისა, ნინო კობახიძის ინფორმაციით, სტაჟირების კურსი 6 თვიანი იქნება, რომლის დასრულების შემდეგ საჯარო უწყება სერტიფიკატებს გასცემს.

ამინდი — დედოფლისწყარო

ორშაბათი 12.05	სამშაბათი 13.05	ოთხშაბათი 14.05	ხუთშაბათი 15.05	პარასკევი 16.05	შაბათი 17.05	კვირა 18.05
დღე / ღამე	დღე / ღამე	დღე / ღამე	დღე / ღამე	დღე / ღამე	დღე / ღამე	დღე / ღამე
21 ° / 17 °	22 ° / 19 °	20 ° / 19 °	23 ° / 21 °	23 ° / 22 °	23 ° / 21 °	22 ° / 19 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნარა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა პოსტაშვილი (ტულალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.

C M Y K